ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6059339

ნომერი: AR1909428

თარიღი : 15.07.2022

გაცემის თარიღი : 04.08.2022

გაცნობის თარიღი : 04.08.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია , N 34 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია , N 34 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 2 , (ნაკვ. 13/010) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 2 , (ნაკვ. 13/011) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გამრეკელი , N19-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსი კვარაცხელია პ/ნ 19001084073
- ზუგდიდი ს. ინგირი ი.ჭავჭავაძის I ჩიხი N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, გამსახურდიას გამზ. №34, მიმდებარედ; ალ. ყაზბეგის გამზ. №2, (ნაკვ. 13/010); ალ. ყაზბეგის გამზ. №2, (ნაკვ. 13/011); გამრეკელის ქ. №19-ის მიმდებარედ, შპს "ბიზნეს ცენტრი საბურთალო"-ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე სარეკლამო აბრისა და განათების ნათურების მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882022486398 05.07.2022 წ., საკადასტრო კოდი № 01.10.14.013.044; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, იჯარის ხელშეკრულება, მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, გამსახურდიას გამზ. №34, მიმდებარედ; ალ. ყაზბეგის გამზ. №2, (ნაკვ. 13/010); ალ. ყაზბეგის გამზ. №2, (ნაკვ. 13/011); გამრეკელის ქ. №19-ის მიმდებარედ, შპს "ბიზნეს ცენტრი საბურთალო"-ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე სარეკლამო აბრისა და განათების ნათურების მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ:

- უზრუნველყოფილ იქნას სარეკლამო აბრის კონსტრუქციული მდგრადობა
- სარეკლამო აბრა და განათებები განთავსდეს მხოლოდ საპროექტო ფართის ფასადზე

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.